

უკანასკნელ ხანს გავრცელდა გამოთქმა ხუთწლედის **შუაგული წელი**. მაგალითად: „...მოწინავე კოლექტივმა... ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის **შუაგული წლის** ღირსეული დამთავრებისათვის...“ („კომ.“); „შირშან, ხუთწლედის მესამე — **შუაგულ წელს** — მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება...“ („კომ.“); „აპარის მშრომელებმა... წარმატებით დაამთავრეს ხუთწლედის **შუაგული წელი** ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით [უმჯობესია: ხუთწლედის შუა წელი, ან — თუ ხაზი უნდა გავუსვათ ამ წლის მნიშვნელობას — ხუთწლედის გადამწყვეტი წელი]“ („კომ.“).

3. **შუაგული** იხმარება ფიგურალური მნიშვნელობითაც. ასეთია გამოთქმა **ცხოვრების შუაგული**: „ვისაც სურს **ცხოვრების შუაგულში** ტრიალი, მისი გულის ძგერის უშუალო შეგრძნება, ის გვერდში უნდა ამოუდგეს ახალგაზრდობას“ („ცისკ.“); „მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მწერალი არ იყოს ვალდებული, ყოველდღიურად იდგეს თავისი ხალხის **ცხოვრების შუაგულში**“ („ლიტ. საქ.“); „ი. იმედაშვილი ყოველთვის მტკიცედ იდგა თავისი ეპოქის პოლიტიკური და ლიტერატურული **ცხოვრების შუაგულში**“ („დროშა“). აღნიშნული გამოთქმის ანალოგიითაა გაჩენილი ვაუმართავი შესიტყვება **მუშაობის შუაგული**. მაგ.: „სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოწყობისას იგი ყოველთვის **მუშაობის შუაგულში** იყო...“ („კომ.“) [უმჯობესია: ამ ღონისძიებათა (ან მოვლენათა) სული და გული იყო].

ჩ

ჩაბატარებს ზმნა უმართებულო შესიტყვებებს ქმნის იმ შემთხვევებში, როდესაც მასთან დაკავშირებულია საწყისი ან შინაარსობრივად მასთან ახლოს მდგომი აბსტრაქტული სახელი. იხ. **ატარებს** — 3.

ჩამპიონატი ფეხბურთში. სპორტული პრესის ენაში ყურადღებას იქცევს ერთი ჯგუფი შესიტყვებებისა, რომლებიც სპორტის სახეობებისა და სპორტული ღონისძიების აღმნიშვნელი სახელებისაგან შედგება. სპორტის სახეობის აღმნიშვნელი სახელი, ჩვეულებრივ, თანდებულიანია. საკითხი ეხება ისეთ შესიტყვებებს, როგორიცაა **ჩემპიონატი ფეხბურთში** (კალათბურთში, ჩოგბურთში, ქადრაკში...) **ტურნირი ხუთჭიღში** (კრივში, ჭიდაობაში, ძიუდოში...), **შეჯიბრება ცურვაში** (ფარიკაობაში...), **პირველობა ტანვარჯიშში** (ქოკით ხტომაში...) და მისთ.

ამ შესიტყვებათა შემცველი წინადადებები მეტწილად ზედმეტად დატვირთულია ინფორმაციით. ხშირად მკითხველს ერთდროულად

აწვდიან ცნობებს იმის შესახებაც, რომელ ქალაქსა თუ ქვეყანაში მიმდინარეობს სპორტული ღონისძიება და ვინ იღებს მასში მონაწილეობას; აღნიშნულია ისიც, რომ ჩემპიონატი (ტურნირი...) მიმდინარეობს უმაღლესი, პირველი ან მეორე ლიგის გუნდებს შორის, ვაუთა ან ქალთა შორის, გოგონებს ან ჭაბუკებს შორის, პროფესიონალ სპორტსმენებს ან მოყვარულებს შორის. ამ ინფორმაციის შემცველ სახელთა მეტი წილი თანდებულიანია. -ში თანდებულიანია სპორტის სახეობის გამომხატველი ტერმინიც, რომელიც კონტექსტში ზედმეტისა და მიტმასნებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი ამძიმებს ფრაზას და წინადადების წევრებს შორის ბუნებრივ კავშირს წყვეტს. მაგ.: „ეს სურვილი ესპანეთში გამართულმა მსოფლიო ჩემპიონატმა ფეხბურთში კიდევ უფრო გააძლიერა“ („თბილ.“).

ჩემპიონატი ფეხბურთში ტიპის შესიტყვებათა უხერხულობას აღვიღად ავიცილებთ და წინადადებასაც თანდებულიან კონსტრუქციითაგან განვტვირთავთ, თუ სპორტის სახეობის — **ფეხბურთის**, **კალათბურთის**, **ჭადრაკის**, **ცურვის**, **კრივის**, **ტანვარჯიშის**, **ჭოკით ხტომისა** და სხვათა ნაცვლად, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, **სპორტის სახეობისადმი მიმდევრობას** აღვნიშნავთ. მაგალითად, ნაცვლად გამოთქმებისა — მსოფლიო პირველობა **ფეხბურთში**, ვაუთა საკავშირო ჩემპიონატი **ჭადრაკში**, ქალთა საკავშირო ჩემპიონატი **კალათბურთში**, ქალთა საერთაშორისო ტურნირი **ტანვარჯიშში**, ევროპის ჩემპიონატი **წყალბურთში**, საერთაშორისო ტურნირი **კლასიკურ ჰიდაობაში** და სხვა, — სათქმელს ასე გადმოვცემთ: **ფეხბურთელთა** მსოფლიო პირველობა, **მოჭადრაკე** ვაუთა საკავშირო ჩემპიონატი, **კალათბურთელ** ქალთა საკავშირო ჩემპიონატი, **ტანმთვარჯიშე** ქალთა საერთაშორისო ტურნირი, **წყალბურთელთა** ევროპის ჩემპიონატი, **კლასიკური სტილით მოჰიდავთა** საერთაშორისო ტურნირი... მაგალითად:

„თბილისში დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი **ფეხბურთში**“ („თბილ.“). აჯობებდა: ... დაიწყო **ფეხბურთელთა** საკავშირო ჩემპიონატი, ან: სსრ კავშირის [130-ე] **საფეხბურთო ჩემპიონატი**; „გაიმართა პირველი ნახევარფინალური **შეხვედრები** **ფეხბურთში** ევროპის თასზე“ („კომ.“). აჯობებდა: გაიმართა **ფეხბურთელთა** ევროპის თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური **შეხვედრები**; „სვერდლოვსკში გაიმართა **კალათბურთში** სსრ კავშირის ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) მორიგი **მატჩები**“ („სოფლ. ცხოვრ.“). შდრ. იგივე ინფორმაცია: „სვერდლოვსკში დამთავრდა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის **კალათბურთელ** ვაუთა გუნდების ჩემპიონატის **მატჩები**“ („თბილ.“); „ხეალთბილისში, ვაკის საცურაო აუზში იწყება სსრ კავშირის **ჩემპიონატი** **წყალბურთში**“ („კომ.“). აჯობებდა: ...იწყება **წყალბურთელთა** საკავ-

შირო ჩემპიონატი; „კალათბურში [აჯობებდა: კალათბურთელ ვაჟ-თა] მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში დაუმარცხებლად მხოლოდ ორი ნაკრები იბრძვის“ („სოფლ. ცხოვრ.“); „თბილისში დაიწყო მრავალჭიდის პროგრამაში შემაჯავლი საკავშირო შეჯიბრება ნებისმიერი სტილით ცურვაში ვაჟთა შორის“ („კომ.“). აჯობებდა აზრი ასე ყოფილიყო გამოთქმული: თბილისში დაიწყო მრავალჭიდის პროგრამით გათვალისწინებული ნებისმიერი სტილით მოცურავე ვაჟთა საკავშირო შეჯიბრება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩემპიონატი ფეხბურთში, პირველობა ჩოგბურთში და მსგავსი შესიტყვებები, რომლებიც ამ რამდენიმე წლის წინ ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ სპორტულ მასალაში დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ, ბოლო ხანს შედარებით იშვიათად გვხვდება, თუმცა არც იმდენად იშვიათად, რომ მასზე ყურადღების გამახვილება აღარ იყოს საჭირო.

ჩპარა და მალე ზმნისართთა ურთიერთმიმართების შესახებ იხ. მალე — ჩპარა.

ც

ცალკეული ცალკე ზმნისართისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელია. მისი ამოსავალი მნიშვნელობა: ცალკე მდგომი, ცალკე მყოფი, განმარტობებული. ამ ზედსართავი მნიშვნელობით იგი ძირითადად შემოგვრჩა როგორც ტერმინი — რუსული единичный-სა და отдельный-ს შესატყვისად (ერთეულის სინონიმად): единичное землеустройство — ცალადი, ცალკეული, ერთეული მიწისჭერა (ტექნ. 57); отдельная часть (სამხ. ტერმ.) — ცალკეული ნაწილი. მაგრამ, როცა უკანასკნელ შესიტყვებას იყენებენ მხატვრულ ნაწარმოებსა თუ ნარკვევში, იქმნება აზრის გაბუნდოვანების საფრთხე. მაგალითად: „ეშელონში ჩვენს ვარდა კავალერისტების რომელიღაც ცალკეული [განმარტობებული, დივიზიას ჩამორჩენილი? აჯობებდა: ერთი რომელიღაც...] ნაწილი და ცხენოსანი არტილერიის დივიზიონი (!) იყო დაბარგებული“ („განთ.“); „იგი შედგებოდა სურსათის მარაგისაგან... სამხედრო საჭურველისა და საომარი იარაღისაგან... სამხედრო ამუნიციისაგან და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი რამისაგან, ყოველი ცალკეული [ზედმეტია!] ნაწილის მიუცილებელ კუთვნილებას რომ წაიშობადგენს“ („განთ.“). ასევე: „გოგონა იპოვეს და გადაარჩინეს 84-ე ცალკეული [ცალკე მდგომი, დამოუკიდებელი თუ იმ დივიზიაში ერთადერთი?] საზღვაო ბრიგადის მზვერვავებმა...“ („კომ.“).

თანამედროვე ქართულში ცალკეული ძირითადად ნაცვალსახელის ფუნქციით იხმარება: ენაცვლება როგორც განსაზღვრულ ნაცვალსა-

ხელებს — თითოეულს, ყოველს — ისე განუსაზღვრელს — ზოგიერთს, უფრო კი ამ უკანასკნელს, თუმცა მათი მნიშვნელობები მთლიანად არ ფარავს ერთმანეთს: ცალკეულით გამოხატული სიმრავლე თითქოს მეტია, ვიდრე ზოგიერთით ნაგულისხმები, და ნაკლებია, ვიდრე თითოეული, ყოველი ნაცვალსახელებით ნაგულისხმები, ან, სხვათაგან: ცალკეულით შედგენილი შესიტყვება უფრო განსაზღვრულ რაოდენობას აღნიშნავს საგნებისას, ვიდრე ზოგიერთით შედგენილი შესიტყვება და — ნაკლებ განსაზღვრულ რაოდენობას, ვიდრე თითოეულით ან ყოველით შედგენილი შესიტყვება. მაგალითად: „იმსჯელეს... ბრიგადის ცალკეული წევრების აკარგინაობაზე“ (მიხ. მრევლ.); „კასტელის ჩანახატებში თვალის ერთი გადავლებით შეიძლება მთელი ფაქტის დანახვა... და იმდროინდელი ქართველებისა და საქართველოს ისტორიის ცალკეული ეპიზოდების გაცოცხლება“ („საბჭ. ხელ.“); „ჩვენ შევეგუეთ გაზვიადებულ ქება-დიდებას, შევეგუეთ ჭერ ცალკეულ ფაქტებს, შემდეგ კი ამ გადაჭარბებული ხოტბის საყოველთაო სტილს“ („ცისკ.“). ვერც ერთ მოყვანილ წინადადებაში ცალკეულს თავისუფლად ვერ ჩანაცვლება თითოეული (ყოველი) ან ზოგიერთი. ბოლო წინადადებაში ამგვარი ჩანაცვლება სრულიად შეუძლებელია; პირველ ორ წინადადებაში კი ჩანაცვლებით დაიკარგება ფრაზის არსებითი მნიშვნელობა...

აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: თუ თითოეული, ყოველი და ზოგიერთი საზღვრულს მხ. რიცხვში მოითხოვენ, ცალკეული მრ. რიცხვში დასმულ საზღვრულს უფრო ეგუება. მაგალითად: „...ცალკეულ ფრიად სასარგებლო ინიციატივათა განხორციელებასთან ერთად, საქიროა შემუშავდეს შობადობის ზრდის კონკრეტული რეზერვების ძიებისათვის აუცილებელი ახალი ფორმები“ („კომ.“); „ისტორიული განვითარების ცალკეულ ეტაპებზე იქმნება ამ ეტაპისათვის დამახასიათებელი კავშირი საზოგადოებასა და პიროვნებას შორის...“ („კომ.“). საზღვრულის რიცხვის ცვლა შესიტყვების შინაარსსაც ცვლის. შდრ.: „კლასის ხელმძღვანელები მოსწავლეებს ათვალღერებინებენ სასკოლო მუზეუმის ცალკეულ განყოფილებას და ატარებენ საუბრებს“ („სახ. გან.“) [უმჯობესია: ...ათვალღერებინებენ თითოეულ განყოფილებას ან ცალკეულ განყოფილებებს]; „განვიხილოთ, რა ხდება ქურჭლის კედელზე ცალკეული მოლექულის დაჯახებისას“ („ფიზ.“ VI). [უმჯობესია: ცალკეული მოლექულების ან თითოეული მოლექულის. შდრ.: დედანი: каждой молекулы]; „გამოფენაზე წარმოდგენილია 250 წიგნი. ცალკეული სტენდი [ცალკე (ერთი) სტენდი თუ ცალკეული სტენდები?] ეთმობა ქართველ მწერალთა წიგნებს“ („თბილ.“); „მისი

ცალკეული ლექცია [უმჯობესია: ლექციები] მოეწყო... ნიუ-იორკის, არინსტონის, ლოს-ანჯელოსის... და სხვა უნივერსიტეტებში“ („თბილ.“).

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ქართულში განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელი სახელები (მათ შორის, თითოეული, ყოველი, ზოგიერთი) საზღვრულს ძირითადად მხ. რიცხვში მოითხოვენ, **ცალკეულ-** ნაცვალსახელით შედგენილ შესიტყვებებში ამ შესიტყვებათა შინაარსის სიზუსტის დასაცავად ჯობს, გამოთქმის სახით, საზღვრული მრ. რიცხვში ვიხმაროთ.

ცაცია. ამ სახელით იწოდება ის ადამიანი, რომელიც მარჯვენა ხელის ნაცვლად მარცხენას უფრო კარგად, მარჯვედ ხმარობს: „ი. გრიშაშვილის დისწულის ანა ციციშვილის გადმოცემით, თვით, პოეტიც **ცაცია** ყოფილა“ („დროშა“); „ფინელ პელიკანენტან შეხვედრა სხვანაირად წარიმართა, ფინელი **ცაცია** იყო“ („ლელო“); „სპორტსმენს ძლიერი აქვს მარცხენა ხელი ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, **ცაცია** არის“ („ლელო“)...

მაგრამ სიტყვა **ცაცია** ზოგჯერ გაიგივებულია მსაზღვრელ სიტყვასთან — **მარცხენა**. ამ მცდარი გააზრების შედეგად გაჩნდა სათანადო უმართებულო შესიტყვება **ცაცია ხელი** — მარცხენა ხელის აღსანიშნავად. მაგ.: „დოლბანდით პირწმინდად შეხვეული მარჯვენა ხელი კისერზე ჩამოკიდებულ თასმაზე ჰქონდა ჩამოკიდებული, **ცაცია** [უნდა იყოს: მარცხენა] ხელს კი მალ-მალე ძვამდა ვიშერივით შავ, ხვეულად დაყრილ თმაზე“ („დროშა“).

ამ სიტყვის გამოყენებასთან დაკავშირებით შეინიშნება სხვა ხასიათის დარღვევაც. სახელდობრ: **ცაცია** ზოგჯერ ესმით, როგორც **მარცხენა ხელი**. ამგვარი ვადაზრება გამოწვეული უნდა იყოს სიტყვა **მარჯვენა**-ს ანალოგიით, როცა **მარჯვენა** ნიშნავს **მარჯვენა ხელს** (შდრ.: „დიდოსტატის მარჯვენა“). მაგ.: „ჩაფიქრებული იდგა, საღ **ცაციას** [უნდა იყოს: მარცხენა ხელს] მალ-მალე ისვამდა ხუჭუჭ თმაზე“ („დროშა“).

მაშასადამე, **ცაცია** არც **მარცხენას** აღნიშნავს და არც **მარცხენა ხელს**. მისი ფუნქციაა აღნიშნოს ადამიანი, რომელიც სხვათაგან განსხვავებით, მარცხენა ხელს იყენებს მარჯვენა ხელის ნაცვლად.

ცვალეზა — ცვლილეზა. ეს სიტყვები ერთი და იმავე მოქმედების სახელებია, ნაწარმებია ერთისა და იმავე **ცვალ-** ძირისაგან, ერთნაირად ბოლოვდებიან (**-ეზა** ელემენტით) და სინონიმური მნიშვნელობა აქვთ. ამდენად, ისინი პარონიმებად შეიძლება ჩაითვალოს. მათი მნიშვნელობა ასე განიმარტება: „**ცვლილება** — სხვად, სხვაგვარად ქცევა, — გარდაქმნა, გადასხვაფერება; **ცვლა** ცვალეზალობა. **ცვალე-**

ბა — შეცვლა, ცვლა; შდრ. აგრეთვე: ცვლა — 1. შეცვლა, შენაცვლება; 2. გამოცვლა; 3. გაცვლა; გაცვლა-გამოცვლა“ (ქეგლ).

ბუნებრივია, რომ ცვალება და ცვლილება სიტყვების მსგავსი აგებულება და მნიშვნელობა ერთგვარ საფუძველს ქმნის მათი აღრევისა და თავისუფალი მონაცვლეობისათვის. მაგრამ კონტექსტებში ამ სიტყვათა ნებისმიერი ურთიერთჩანაცვლება გაუმართლებელია: გასათვალისწინებელია რამდენიმე ნიუანსური განსხვავება მათ შორის:

სიტყვა ცვალება შეიძლება ასახავდეს როგორც აქტიური სუბიექტის მოქმედებას (მან შეცვალა იგი), ისე პასიურისას (იგი თვით შეიცვალა), მაშინ როცა სიტყვა ცვლილება, რომელიც ნაწარმოებია ვნებითი გვარის მიმღეობისაგან — ცვლილი, სწორედ ამიტომ უფრო ცალსახაა: იგი მხოლოდ პასიური სუბიექტის მოქმედების (იცვლება ის) ამსახველია. ამასთანავე, ცვლილება, როგორც ნამყო ღროის მიმღეობისაგან (ცვლილი) ნაწარმოები ფორმა, ხაზს უსვამს უფრო მოქმედების შედეგს, ვიდრე პროცესს, ცვალება ფორმა კი — პირუკუ: იგი ნაწარმოებია უშუალოდ ზმნური ცვალ-ძირისაგან და უფრო პროცესობრივი მახასიათებელია მოქმედებისა, ვიდრე შედეგობრივი. შდრ.: უამთა ცვალება // უამთა ცვლა, მაგრამ არა: უამთა ცვლილება.

აქედან გამომდინარე, შეუფერებელია ცვლილება სიტყვის ხმარება შემდეგ წინადადებაში: „მსოფლიო ასპარეზზე ძალთა შეფარდება შეიცვალა და კვლავ განაგრძობს ცვლილებას“ („კომ.“). ზმნა განაგრძობს პროცესობრივი მახასიათებელია მოქმედებისა და ამიტომ მონათესავე მნიშვნელობის მქონე სიტყვები ცვლა და ცვალება უფრო შეეფერება ამ კონტექსტს, ვიდრე შედეგის ამსახველი სიტყვა ცვლილება. შდრ.: „...იუგოსლავიამ მიაღწია მნიშვნელოვან ცვლილებებს საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების ყველა დარგში“ („კომ.“). ამ წინადადებაში შედეგობრივ შინაარსს კარგად გამოხატავს ზმნა მიაღწია და სახელი ცვლილებებიც მასთან სწორადაა დაკავშირებული.

აღნიშნულ ნიუანსობრივ სხვაობას ადასტურებს შესაძლებლობის გამომხატველ ზედსართაულ ფორმათა წარმოება. ცვლა და ცვალება სიტყვებს აქვთ უნარი აწარმოონ შესაძლებლობის ფორმები: ცვლადი — რაც იცვლება, რასაც ცვლა ახასიათებს, — ცვალებადი. მაგ.: ცვლადი დენი (ფიზიკური ტერმინი), ცვლადი (მათემატიკური ტერმინი); ცვალებადი: ცვალებადი მოღრუბლულობა, ცვალებადი უპირატესობა, ფორმაცვალებადი სიტყვა... მაგ.: „ცვალებადია კაცის ბუნება“ (აკაკი).

რაც შეეხება სიტყვა ცვლილებას, იგი შესაძლებლობის ზედსართაულ ფორმას ვერ აწარმოებს: ცვლილებადი შეუძლებელი ფორმაა,

ენიანიდან მოქმედების შესაძლებლობა, პოტენცია მხოლოდ მოქმედების პროცესში შეიძლება გამოვლინდეს და არა შედეგში.

წარმოებისა და, ნაწილობრივ, ფუნქციის მიხედვით (შედგვის აღნიშვნა) სიტყვა **ცვლილება** მეტი სახელური ნიშნებით ხასიათდება, ვიდრე **ცვალება**. ამიტომვე, რომ **ცვლილება** თავისუფლად იწარმოებს მრავლობითის ორსავე ფორმას: **ცვლილებები**, **ცვლილებანი**. მაგ.: **ბერათცვლილებები // ბერათცვლილებანი**, ან: **ფონეტიკური ცვლილებები // ცვლილებანი**, ძირეული **ცვლილებები // ცვლილებანი** საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კანონში **ცვლილებების // ცვლილებათა** (და არა **ცვალებების** ან **ცვალებათა**) **შეტანა** და ა. შ. **ცვალება** ფორმას კი, როგორც უფრო ზმნური თვისებების მქონეს, მრავლობითის წარმოება უჭირს, ცალკეულ სპეციფიკურ შემთხვევებში მისი ხმარება მხოლოდ ნარიანი მრავლობითის ფორმით შემოიფარგლება. შდრ.: **სახეცვლილება** (<სახეცვლილი) და მისი პარალელური **სახეცვალება**. მრავლობითში: **სახეცვლილებები // სახეცვლილებანი**, მაგრამ მხოლოდ **სახეცვალებანი** (და არა **სახეცვალებები**).

ცნობავს შემატუობინებს. არსებითი სახელის — **ცნობის** ერთ-ერთი მნიშვნელობაა: ოფიციალურად გადმოცემული ამბავი, უწყება (მაგ.: „საინფორმაციო ბიუროს **ცნობა**“). ეს სახელი ბუნებრივ შესიტყვებას ქმნის **მიაწვდის**, **მიიღებს**, **გადასცემს** ზმნებთან: **ცნობას მიაწვდის** = გადატ. **შეატყობინებს**, **გააგებინებს**.

შეატყობინებს ნიშნავს: აცნობებს, გააგებინებს. მაგ.: „საქმეს რომ მორჩე, მოდი, **შემატყობინე!**“ (აკაკი); „მეზობელმა უმაღ **შეატყობინა**... მართას თავგასული რძლის ოინები“ (მინ. მრევლ)... ეს ზმნა, ჩვეულებრივ, შესიტყვებას ქმნის **ამბავ-სახელთან**: **ამბავს შეატყობინებს**. მაგ.: „**შემატყობინე** შენი ამბავი“ (საუბ.).

ამ ორი გამოთქმის (**ამბავს შეატყობინებს** და **ცნობებს მიაწვდის**) კონტრამინაციითაა მიღებული უმართებულო შესიტყვება **ცნობებს შეატყობინებს**. ამიტომ სტილისტიკურად დასახვეწია წინადადება: „**მან შეგვატყობინა** დიდმნიშვნელოვანი **ცნობები** [უნდა ყოფილიყო: **შეგვატყობინა** ამბები, ან: **მოგვაწოდა** **ცნობები**]“ („კომ.“).

წ

წარმატება; წარმატებული. წარმატება ძველი ქართული სიტყვაა, საბასთან განიმარტება, როგორც: „საქმით და სწავლით მატება სხვაზე“. ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ იგი განმარტებულია, როგორც: აღორძინება, წაჭარბება, გადამეტება, წინ-